Capatect Klebe- und Armierungsmasse 186M

მინერალური მშრალი ქარხნული ნარევი საიზოლაციო ფილების მისაწებებლად და არმირებისათვის.

CE Ü

მასალის აღწერა

გამოყენების სფეროები	თერმო საიზოლაციო სისტემების საიზოლაციო (დამათბუნებელი) ფილების წებო Capatect-WDVS-ის A და B სისტემების ფარგლებში.
თვისებები	■ წყალმედეგი ■ მაღალი ორთქლდიფუზიურობა (გამტარიანობა) ■ ამინდის მიმართ მედეგი ■ კარგი მდგრადობა ■ მანქანით დატანადი ■ ჰიდროფობიზაციის გამაუმჯობესებელი დანამატები, მარტივი დამუშავება და კარგი ადჰეზიის უნარი ■ მინერალური შემკვრელი ცემენტის ბაზაზე ადჰეზიის გამაუმჯობესებელი დანამატებით
შეფუთვა	25 კგ ტომრები
ფერი	ღია ნაცრისფერი
შენახვის პირობები	შეინახეთ გრილ, მშრალ და ყინვისგან დაცულ ადგილას. დაიცავით პირდაპირი მზის სხივებისგან. გაუხსნელი ორიგინალური შეფუთვით შენახვის ვადა - დაახლოებით 12 თვე.

ტექნიკური პარამეტრები

■ თბოგამტარობა:	$\lambda_{10\ dry,mat} \leq 0{,}61$ W/(mK) P=50%- თვის DIN EN 1745 -ის მიხედვით $\lambda_{10\ dry,mat} \leq 0{,}66$ W/(mK) P=90%- თვის DIN EN 1745 -ის მიხედვით
■ მშრალი პროდუქტის სიმკვრივე:	μ < 25 DIN EN 1015-19- ის მიხედვით
■ დიფუზიის წინააღმდეგობის მაჩვენებელი (H2O):	კატეგორია CS IV DIN EN 998-1- ის მიხედვით
■ მოქიმულობის სიძლიერე	დაახლ. 1,5 გ/სმ³ DIN EN 1015-10-ის მიხედვით
■ კრობ. დაძაბულობის სიძლიერე:	≥ 0.08 N/მმ² DIN EN 1015-12- ის მიხედვით ნამსხვრევის ნიმუში A, B ან C
■ ცეცხლის ქცევა:	კლასი A2-s1, d0 DIN EN 13501- ის მიხდედვით (არა-აალებადი)
■ წყალგამტარობა:	კატეგორია: Wc2 DIN EN 998-1- ის მიხედვით C ≤ 0.20 კგ/(მ²-წუთი0.5) DIN EN 1015-18- ის მიხედვით
■ ფენის სისქე:	პირველი ფენა: 3 - 5 მმ

CAPAROL

პროიდუქტის No. 186M

მოხმარება

ზედაპირის მომზადება

აგურის წყობის, ბეტონის და სხვა მდგრადი ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, მშრალი და მზიდუნარიანი. სამშენებლო ხსნარის ნარჩენები, განმაცალკევებელი ნივთიერებები და სხვა არამდგრადი ნაწილაკები შეძლებისდაგვარად უნდა მოცილდეს. დაზიანებული და ჩამოშლილი დანაფარები და სტრუქტურული ბათქაში შეძლებისდაგვარად მოცილდეს. ბათქაშში გაჩენილი ცარიელი ადგილები მოიმტვრეს, თავიდან შეილესოს და გაუსწორდეს ზედაპირს. ძლიერ შემწოვი, ცარცვადი და ქვიშანაყარი ზედაპირები საფუძვლიანად გაიწმინდოს მყარ სუბსტანციამდე და დაიგრუნტოს Sylitol-Konzentrat 111-ით.

მასალის მომზადება

Capatect-Klebe- und Armierungsmasse 186 M-ის შესარევად შესაძლოა გამოყენებული იქნას ნებისმიერი შემრევი მოწყობილობა უწყვეტი მოქმედებით, ასევე ცემენტის შემრევი ტუმბოები და რეგულირებადი ხელის შემრევი. უნდა მოიზილოს სუფთა, ცივი წყლით, თანაბარი მასის მიღებამდე. შემდგომ 5 წუთი დააყენეთ და კიდევ ერთხელ მოურიეთ. კონსისტენციის რეგულირება შესაძლებელია მცირე რაოდენობით წყლით. ოდნავ წყლით გაზავება: დაახლოებით 5,5-6,0 ლიტრი 25 კგ-იან ტომარაზე. ამინდის პირობების გათვალისწინებით, ხელით მოზელილი მასალის გამოყენების დრო შეადგენს 2- 2,5 საათს, მანქანური მიწოდების შემთხვევაში - 60 წუთს.

არავითარ შემთხვევაში არ შეაზავოთ უკვე გაქვავებული მასალა წყლით!

ხარჯი

საიზოლაციო ფილების შეწებება (ზედაპირიდან გამომდინარე):
ზოლოვან-წერტილოვანი მეთოდით: დაახლოებით 4,0-4,5 კგ/მ2,
სრული ზედაპირით მიწებება: 5,0-7,0 კგ/მ2,
ზედაპირის ნაწილით მიწებება (მხოლოდ ფასადის საიზოლაციო ფილებისათვის LS VB 101): 5,0-5,5 კგ/მ2.

არმირების ფენა:
ფენის სისქის თითო მმ.-ზე - 1,18 კგ./მ2,
პოლისტიროლის მყარი პენოპლასტის ფილებით,
დაახლოებით 4,5 კგ/მ2, მინერალური ბამბის
ფილებისთვის დაახლოებით 5,0 კგ/მ2,

გამოყენების პირობები

მუშაობის და გაშრობის ფაზაში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5 °C-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს +30° C-ს. არ გამოიყენოთ მზის პირდაპირი სხივების ქვეშ, ძლიერი ქარის, ნისლის და ჰაერის მაღალი ტენიანობის დროს.

შრობის დრო

საჭიროების შემთხვევაში სამაგრები (დიუბელი) გამოიყენეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც წებოს ფენა საკმარისად არის გამაგრებული, ანუ საშუალოდ 1 დღის შემდეგ. წებო სრულიად მშრალია და ექვემდებარება დატვირთვებს 2-3 დღის შემდეგ. Capatect-Klebe- und Armierungsmasse 186 M შრება წყლის აორთქლების ხარჯზე, ამიტომ ცივ სეზონზე და ჰაერის მაღალი ტენიანობის პირობებში შრობის დრო მატულობს.

ხელსაწყოების წმენდა

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით.

მომრევი დანადგარის მაგალითი

სტანდარტული დოზირების და მორევის სიხშირის მქონე უწყვეტი მოქმედების მომრევი- Berö Calypso 15 და ზამბარა ტუმბო - Berö Speedy 15.

მნიშვნელოვანი მონაცემები
აუცილებლად გაითვალისწინეთ მანქანის მწარმოებლის რეკომენდაციები!

კვების წყაროსთან მიერთება:
სამფაზიანი დენი 400 B / 16 A.

წყალთან მიერთება:
შლანგი 3/4” GEKA , მანქანის მუშაობის პროცესში წყლის მინიმალური წნევა - 2,5 ბარი.

წყლის ხარჯი:
წებოს კონსისტენცია: დაახლოებით 200ლ/საათში,
არმირების მასის კონსისტენცია: დაახლოებით 250 ლ/საათში.
სასურველი კონსისტენციის მისაღებად შესაძლებელია წყლის მიწოდების რეგულაცია ონკანზე არსებული ზუსტი რეგულატორით.

მიმწოდებელი შლანგები:
საწყისი შლანგი - შიდა დიამეტრი Ø 35 მმ /13,3 მ-ზე,

მიწოდების მანძილი:
მაქსიმალური მანძილი - დაახლოებით 50 მ (დამოკიდებულია ამინდსა და ობიექტზე).

მიმფრქვევი:
Ø 10 ან 12 მმ. ბოლო შლანგი - შიდა დიამეტრი Ø 25 მმ/10,0 მ.-ზე.

არმირების ფენა

დატანა ხელით და მანქანური მეთოდით:
ფილების შესაძლო ცდომის ადგილები უნდა გაიშლიფოს და გაიწმინდოს მტვრისგან. ფანჯრების ჩარჩოებსა და კანტებზე, ასევე ფასადის ღიობების დიაგონალურ არმირებაზე კუთხოვანი დაცვის დატანის შემდეგ, აუცილებელია არმირების მასა დაიტანოთ ფილებზე ქსოვილის მთელი სიგანის გათვალისწინებით და Capatect-Gewebe 650, 10 სმ - ის გადაფარვით, მცირე დაწოლით დააფიქსიროთ მასში. რის შემდეგაც ქსოვილის მთელი ზედაპირი უნდა დაიფაროს "სველი-სველზე" მეთოდით. დანაფარის სრულმა სისქემ უნდა შეადგინოს დაახლ. 3-4 მმ.

ნაგებობის კანტები:
Capatect Eckschutz-ის კუთხოვანი დაცვის გამოყენების შემთხვევაშიც ქსოვილი 10 სმ - ის გადაფარვით უნდა დაფიქსირდეს კანტის ირგვლივ.

თბოსაიზოლაციო ფილების შეწებება

ზოლოვან - წერტილოვანი მეთოდი:
ახალმომზადებული ხსნარი დაიტანეთ ფილის პერიმეტრის გასწვრივ 5სმ. სიგანის ზოლად და ფილის შუაში (3 ხელისგულის ზომის), ფილის უკანა მხარეს (შეხების საკონტაქტო ფართობი წებოსთან ≥ 40%).

სრული ფენით დატანა (მინერალური ბამბის ლამელის საიზოლაციო ფილები, წინასწარ დატანილი ზედაპირით):
წებვადი მასა ზედაპირზე დაიტანეთ მექანიკური მეთოდით, დაახლოებით 10 მმ სისქეზე. უშუალოდ საიზოლაციო ფილის დასმის წინ, ფილის უკანა ზედაპირზე დატანილი წებოვანი ხსნარი უნდა დამუშავდეს ე.წ." სავარცხლით".

ნაწილობრივი დატანა (მინერალური ბამბის ლამელის საიზოლაციო ფილები, წინასწარ დატანილი ზედაპირით):
შეასხურეთ წებვადი მასა მანქანური მეთოდით ფილის ზედაპირს ვერტიკალური ზოლების სახით (წებოსთან საკონტაქტო საერთო ფართობი ≥ 50%). წებოს დანატანი უნდა იყოს დაახლ. 5 სმ., ფენის სისქე შუა ნაწილში - მინ. 10 მმ., ცენტრებს შორის მანძილი -10სმ. საიზოლაციო ფილები მაშინვე გარკვეული ზეწოლით უნდა" ჩაიძიროს" წებოს ახლადმომზადებულ მასაში, დადგეს შესაბამის მდგომარეობაში და დაფიქსირდეს მიბჯენით. აპკის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია წებო დაიტანოთ ისეთ ზედაპირებზე, რომელიც მაშინვე უნდა დაიფაროს ფილებით. საიზოლაციო ფილების შეწებების პროცესში წებოს ფენაში წარმოქმნილი ± 1 სმ.-მდე არათანაბარი ადგილები შესაძლებელია შეასწოროთ წებოს ხელახალი ფენით. შეერთებული საიზოლაციო ფილები უნდა დაწებდეს ერთმანეთზე მიბჯენით და აღმავალი მიმართულებით. კარგად დააჭირეთ თითოულ ფილას, რომ წებოვანი მასა თანაბრად განაწილდეს. არ დაიტანოთ წებო ფილებს შორის ტიხრებში. ყურადღება მიაქციეთ ფილების ღერძულ და ვერტიკალურ წყობას.

შრობის პროცესის განმავლობაში წვიმისაგან დასაცავად
კარკასი აუცილებელია დაიფაროს ტენტით.

მითითებები

უსაფრთხო გამოყენების წესები

ეს მინერალური ფხვნილისებრი პროდუქტი შეიცავს ცემენტს და მოქმედებს, როგორც ტუტე. აღიზიანებს კანს და სასუნთქ გზებს, იწვევს თვალების სერიოზულ დაზიანებას. არ შეისუნთქოთ მტვრის ღრუბელი. მუშაობისას იხმარეთ დამცავი აღჭურვილობა. თვალებში მოხვედრისას რამოდენიმე წუთის მანძილზე მოიბანეთ წყლით, ამოიღეთ საკონტაქტო ლინზები და მიმართეთ ექიმს. გადაყლაპვის შემთხვევაში პირი სასწრაფოდ გამოიბანეთ. არ გამოიწვიოთ ღებინება.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაცია

საფრთხის სიმბოლო: Xi - იწვევს გაღიზიანებას, შეიცავს ცემენტს. იხილეთ აგრეთვე უსაფრთხოების ფურცელი.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge